



კვირა

28

მარტი

1910

№ 13

წლიურად 5 მ. ნახ. წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღ. დრ. სახ. კანტ. იოსებ იმედაშვილთან. Тифлисъ

редакция "Театри да цховреба"
Иос. Зах. Имедашвили

„თეატრი და სცენის“ რედაქციის
ქანტორა სთხოვს ხელის მომწერთ დაიქ-
ქარონ ხეიდრი ფულის გამოგზავნა.
შინაარსი: რატომ არა კეთდება-რა-
მეთური; დემონი—გ. ტაბიძისა; ოსკარ უა-
ილილი და ხელოვნება—პ. დაღვიძისა; სული
ყვავილად ქცეული—ლევ. მეტრეველისა; უი-
მელი—იმერელი ქალისა; საღამო იყო—გ. ფოც-
ხოველისა; დამ. გამგეობის წევრი—ივ. გო-
მართლისა; დრამატულ მოღვაწეობის ასა-
რებზე—ზ. ჭიჭინაძისა; საფ. აბაშიძისა; ლექ-
სი—დ. გაბრუაშვილისა; სათეატრო ამბები;
შთაბეჭდილებანი—ცისკარისა; ლექსი—გ. ში-
ნატყეშელისა; ვარსკვლავთმრიცხველობა—იო-
სებ არიმათიელისა; დავაფსოთ—Par-Don-ისა.

28 მარტი 1910 წ.

რატომ არა ნიანგის ცრემლთა ფრქვევას, კეთდება-რა?! განუწყვეტელს წუწუნსა და ურთიერთის უსაბუთო კილვა-კიცხვას რომ რისხამ გაკეთება შეეძლოს, ჩვენი თანა ბედ-ნიერი არავინ იქნებოდა...

დიდს ნიქს ვიჩენთ სიტყვისნობაში, უშინაარსო კამათში, ბეჭდვითი სიტყვით კინ-კლაობაში, ხოლო რომელიმე ჩვენი საზოგა-ლო საქმის ნიადაგი რომ გაფაძლიეროთ,—ვერ მოგვიხერხებია...

ჩვენს ერს ტერიტორია ხელიდან იცლიე-ბა, ბრწყინვალე წოდება დღეს თავის უნებურად სამშობლოს გამყიდვის როლს ასრულებს, გა-ნათლების საქმე გაუკულმართებულია, მწიგ-ნობრობისა—შერყეული, თეატრისა—ნირშე-ცვლილი... რომელ მხარესაც გავიხთავთ, უნუგეშობის აჩრდილი წარმოგვიდგება თვალ-წინ, ხოლო სულ რაღაცნაირად კალმოსანილა **ჭკადებს და მოსიქვას...** „ჩვენსა ბედშობას, ჩვენს ერთობას დარღვიულს“...

რა არის მიზეზი?!

მეცხრამეტე საუკუნემ ჩვენ—ქართველებს უზრუნველობა, დაუდევრობა გვიანდერ-და და თუ კვლავ ამ ანდერძს მტკიცედ დავი-ცავთ, მაშინ არა თუ პირისაგან ქვეყანისა აღვიგებთ, ვითარცა ერი—ქართველობა,—არამედ გავქრებით კიდევ, როგორც ადამიანე-ბი, ვით კაცობრიობის ერთი ნაწილთაგანი, ისე ვავითქიფებთ ცხოვრების სრბოლაში,

რომ ჩვენი ასავლდასავალიც ვერავინ მიიკ-ვლიოს...

იქნება ზოგათვის ეს აზრი საამო არ იყოს, მაგრამ რას იზავთ: ეს ისტორიული აქსიომაა, შეურყვეველი ქემშარიტება და მას ვერავინ შესცვლის...

თანამედროვე საზოგადოებრივ ძალთა გან-წყობილება, ეკონომიურ ნიადაგზე ბრძოლა, ლათონის ბატონობა, კულტურის წინსვლა და აღმამის სულის უმაღლეს მისწრაფებათა მოთხოვნილება განსაკუთრებული მიზნისაკენ მიაქნებებს ყოველს აღამიანს, რა სარწმუნოე-ბასა და ეროცა უნდა ეკუთვნოდეს იგი და რაც გინდ ბევრი ვიცეთ თავში—მიწა ხელი-დან მიდის, მწიგნობრობა სულს ღაფავს, თე-ატრი გასაქირს განიცდისო, მაინც ვერას ვუშველით, თუ ეგოდენ სიტყვასთან ერთად საქმიტაც არ გავისარჯოთ...

ვის შეუძლია დღევანდელ პირობებში კერძო მესაკუთრეს უთხრას, შენს ქონებას ივანეს ნუ აძლევ, პეტრეს მიეცეო, მაშინ, როდესაც ივანე დღევანდელი ცხოვრების მთავარ საშუალებას უზრიალებს ხელში?..

ვის შეუძლია ჩვენს „ტეტიას“, საშუალო მოქალაქეს გინა ბრწყინვალე წოდების ოჯახის შვილს მოსთხოვოს—ქართული წიგნი იკით-ხეო, როცა ამას არ ასწავლიან და საზოგადო-ების პირისუფალნი არამც თუ მეცადინეობენ ამ სენის აღმოსაფხვრელად, არამედ გულხელ დაკრეფილნი მხოლოდ შორიდან ჭკადებენ, „ვიი-უის“ გაიძახიან...

ვის შეუძლიან ჩვენი დროის განათლებულ-გონებთ. განვითარებულ ადამიანს მოსთხოვოს, შენი სულიერი საზრდო პირგათხუზნულ ჯამბაზების დრეკა-ბრეცვაში უნდა იზოვოო? —ის-კი არ არის სახარბიელო ძალი ძალათი მიიწვიო მასურებელი თეატრში და ისეთი „წარმოდგენა“ წარუდგინო, რომ სავარძელზე მიეძინოს, ანუ შუა წარმოდგენიდან უკმაყოფილოდ გავიღეს, არამედ ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ მასურებელი თვითონვე მიიღტვოდეს წარმოდგენაზე დასასწრებლად, მიუცილობელ საქიროებად მიანდეს ქართულ თეატრში სიარული... დიღ, ქართულ სასცენო ხელოვნებას უნდა მიეკუთვნოს ისეთი მდგომარეობა, რომ დააკმაყოფილოს ჩვენის დროის სულიერი მოთხოვნილება, ქართველი მელბომენაც უნდა გადაქცეს ტვართომძიებთა და სულით მამვრალთა ძუძუ მასწოვებლად, —მაშინ საყვედურს ადგილი აღარ ექნება...

აგრედვე უნდა გაისარჯოს ჩვენი საზოგადოება ყოველს სხვა საქმეშიაც... ამიტომ ჩვენის ხალხის გულშემტკივართ, საზოგადოდაწესებულებათა კიროსუფალთ საქმიით უნდა მოჰკიდონ საქმეს ხელი, იოჰქმედონ მონღობებით, თანდანობით და შეუჩერებლივ, თორემ კანონი ისტორიისა, რკინის კანონი ცხოვრებასა შეუბრალლებლია და ვაი მას, ვინც ფხიზლად და მუღვარდ არ დაუხედება დროის ქარტეხილს...



დ ე მ მ ნ ი

ოტურვა წალოკტში ნორჩ ყვავილის მოწყვეტა მსურდა,
 მაგრამ სერაფიმს ბედკრულისთვის ესეუ შემურდა:
 ყვავილს სინაზით კალთა თვისი მან დაფარა
 და უშუთოთველი გულ-წრფელობის ცრემლი დაღვარა.
 მწარე ღიმილით, გესლიანი,
 მე მას განვმორღი
 და მასს ქვესკნელში განწირულად დავეკრდი... ვძრწოდი...

* * *

ოჰ, ვის, ვის ესმის ჩემი კენცა და ტანჯვა სულის,
 საუკუნეთა მსველეობაში
 გაცივებულის?
 ადამიანო, ყოფნა შენი
 კუბოდ იცვლება,
 მე კი უბედურს თვით სიკვდილიც
 არ მელირსება.
 უსიყვარულოდ, უმნიშვნელოდ
 მიჰქრიან დღენი, —
 ოჰ, ვის, ვის ძაღუმს გამოსცადოს
 ტანჯვა ესღენი?

გ. ტაბიძე



ოსკარ უაილდი და ხელოვნება *)

მოდინისმის ფილოსოფია შექმნა მეტერლის-კმა; წარმოების ატმოსფერაში სუფდაგებებულ თანამედროვე საზოგადოების ესთეტიკა—ოსკარ უაილდმა. ბურჟუასიული საზოგადოება სუფს დეეს მისკანვე წარმოშობად ცხოვრების ჭაბაში. მანქანების განუწყვეტელი გრიალი, რომელმაც ქვეყანას ერთს უშეკლებელს სახელმწიფოს დაამკაცეს, აძრწუნებს არა მარტო აურტანელი შრომით განტანჯულს საღსს, არამედ ამ ქვეყანს— სახელმწიფოს მესეკურთავს. იმედში-ხილი ადამიანი ხსნს ესიებს და თითქო ეს დუსრულებელი ძიება უხეყოფად რჩება.

მეტერდინგი ჰქმნის დუჰაისტურ ფილოსოფიას: მისი აზრით, თვალ-ხილული მსოფლიოს გარდა არსებას სხვაც. მის ნაწარმოებში ტანჯული სული განმორდა „დაღს უსამართლობას“ და თავი შეიფარა ზემოსწინებულ „სხვას“ სამკაროს. ოსკარ უაილდმა არ სცნო ამ სხვას ქვეყნის საწაროებას. მან დაგვანხა, რომ ბუნებაც და ცხოვრებაც ხელოვნების მიერ წარმოშობილია, რომ მსოფლივ ჩვენი ფანტაზიას სიქნს თვალ-ხილულს ქვეყნას და მოვლენათ ამ თუ იმ შინაარსს. ოსკარ უაილდის აზრით ყოველ-დაყოი სინამდვილე უაზროა და უდამაზოა, მსოფლივ განუსაზღვრელ ფანტაზიას მიერ წარმოშობილი სიღრუე არის უტყუარი ჭეშმარიტება. ადვილი მისს ხეუღრას, რომ ყოველივე ეს შეურაცყოფილი სულის ზნოტესტია მეტერერების და კმშითიულ გამოკვლევის წინააღმდეგ. ამ ზნოტესტს, მეტერერულ ახალი-

*) Коган. Зап.-Евр. Лит. III

ზისადმი ამ მიქლავარებას სარჩულად უძევს იგივე, რაც იმსინის ინდივიდუალისტურ ზემოხას და შეტერლინგის დუღისტურ ფილოსოფიას აცნობილებდა. ქვეყნისკაც ზიროვნების გამოყოფა, მისი და მის სუბიექტურ წარმოდგენათა კადმურეთა—აი, ეს სარჩულოა.

სამყარო, როგორც რამე რეალური, ჰქრება; მის ადგილს იჭერს ამ სამყაროს შესახებ ჩემი წარმოდგენა. მხოლოდ ხელოვნება წარმოდგენს რელობას, ვინაიდან ეოველივე მის-მიერ წარმოშობილი ცაცილებით მდლა სდგას ბუნების მარტო შემოქმედებასზე. თავის სისრულეს ხელოვნება თვისშივე ეძიებს, და არა ობიექტურ სამყაროში, რადგან იგი უფრო სეწასროს, ვინემ სარკე. „მის აქვს ევაივლები, რომელნიც არ იბოვებიან არც ერთს ტრეში; მის ევს ფრინველნი, რომელნიც არ მოიძინებიათ არც ერთს ჭლადში. იგი ანერვეს და ხელახლად ჰქმნის ქვეყანას. მის ძალეოს შეწამულ ძაფით სცედიან მთვარის ჩამოყვანს. მის ევეთვინს ფარმანი, რომელნიც ცდისხად ლამიანსზე უფრო რეალური არიან. მის ევეთვინს დიდებული არქიტბები, რომელთა უკანონო მსჯავსებას წარმოდგენს ეოველივე ის, რაც არსებობს. ხელოვნებისათვის ბუნებას არა აქვს განსებობა, არა აქვს ერთფეროვანება. ხელოვნება თავის სურვილსამებრ ჰქმნის სსწავს: მის ძანიღზე წამოდგებთან უფეროდან თვით სომსიელებანი. იგი ზამთარმაც შემოსავს ნუში მწვანით, თოვლის სპანს დახურავს აბიბინებულ ევანს. მის ერთს სიტყვასთან ერთად, ეინვა თავის ვერცხლის თითებს შესხებს ივინისის ბაკეთ, და ფრთოსანი ღამებო აცტადებთან ღიდაის გორაკებსზე. ოდეს ხელოვნება ტრეში ღა-არეა, ალბო დაბურულ შტოებთან იცქირებთან; ფავსები სოცდარის დამილთ შესციინან, როდესაც ხელოვნება მათ მიუხსლოვდება. **ხელოვნებას აცვს თავიერი ღმერთები, რომელნიც მასზე სციმენ თავებანს...**

ეს განბეული აზრები ზარდაქსლური კამოთქმას შემდეგის დეკოს: ხელოვნების მოავარი მისანი დაკვანხოს ახლდ შუეით შემოსილი ბუნება; შთაბეროს მის აზრო, რომელსაც ჩვენ თვით ვერ შეგაშნევედით. უაილდბ ეს დეკა უკადურესობამდე განაფიორს. იგი აშკარად ღდაღებს, რომ ბუნებაში მოსალოდ ის არის სეურადლებო, რსაც თვით ჩვენ შეეძენთ მას. მხოლოდ ეს შენაქები სცოცხლობს, როგორც რეალობა. თვით ბუნება არ არსებობს, არიან ჩვენი ფანტაზიის მიერ წარმოშობილი სტე-

ბანი. „ბუნება სრულებით არ არის ჩვენი მშობელი დედა, იგი ჩვენი შობილია. მისი სიცოცხლე ჩვენი კონების ნაყოფია. სავნები არსებობენ იბიტომ, რომ ჩვენ მათ ვხედავთ; რას ვხედავთ და ან როგორ ვხედავთ, ეოველივე ეს დამოკიდებულია ხელოვნების ხეღავლენასზე. ხომილდ ჩვენ ეუტქერთ სავანს და ვერ ვხედავთ. სხოვადლოთ, ღამიანი ვერ დანიხხვს სავანს, ვინემ არ სცნობს მის სიღამასეს. მხოლოდ ამის შემდეგ იწვევს ღამიანისათვის არსებობას სავანი“. უაილდის აზრით, მთელი ბუნება ხელოვნების-მიერ შექმნილია.

მკვრამ არა თუ მარტო ბუნება,— თვით ცხოვრებაც ხელოვნების შემოქმედების ნაყოფია; ცხოვრება უფრო ბძავს ხელოვნებას, ვინემ ხელოვნება ცხოვრებას. დიდებული მსატკარი ჰქმნის ტბის, ცხოვრება ცდობის მხოლოდ მისი მსჯავსის წარმოშობას. ბერძნებს შეთვისებული ჰქობლათ ეს ჭეშმარიტება: ზატრძლის ოთახში სდვამენ მშეხნიერ ქანდაკებათ, რომელთა მსჯავსი უნდა ეთფილიყო ნორჩი ჩამომავლობა. ბერძნებმა იცოდენ, რომ ცხოვრება ხელოვნებისკან იძქნს აზრის სიდრმეს, სიცხოველეს; გრსობიერებას, სუელიერ აღმოფთებას და სიმშადეს... თუ დავვირდებით ლიტერატურას, დანიხხვთ, თუ რ განუხობელი გავლენა აქვს სომშეხნიერეს ცხოვრებასზე ნესიმოზში ჰამლეტის მოცონილია. ნიჭილიობა, ეს კატეგორია ურწმუნო მოწამე; ტურგენევმა შექმნა და ლიტერატურამ ჩამოაფლიობა. მეცხრამეტე სეუენე თითქმის ბღზავის-მიერ არის შექმნილი... ლიტერატურა წინ უსწრებს ცხოვრებას... ამ უვანსენელს უჭირავს სარკე ხელოვნების წინაშე და აღბეჭდავს მსატკრის ან მოქანდაკის რომელიმე სტეობს. ცხოვრება ახორციელებს იმას, რაც ხელოვნებას აისაზრება.

მეტრს ეორადლებით რომ დავაქტრდით ამ გაბეული თეორიის, შევამწევათ, რომ უაილდის ამ დიდებულ ზარდაქსეში დამზრულია შუოქილ ზიროვნების სსოწარვეული გოდება. ერთფეროვანი ცხოვრების-მიერ ვაინსირებული ზიროვნება სრბათ ეწავება ეოველსავე, რაც-ი სრულს გათავისუფლებას ჰზირდება. ეს არის მისეზი, რომ ზიროვნება ერთნაირის სსოებთ შესცქერის ღღორწამებულ ინსტიქტის ეულტას (შტორნერი), დამოკიდებულ სულის დეკს (მეტრლანივა) და კადმურთეული ფანტაზიის (უაილდ). სრული თვითკამორვევის მძღავრი სურვილი და ცხოვრების დესპოტიზმის გაშო ღამოფთება სარჩულად უდევს არა მარტო უაილდის

ესტეტიკას, არამედ ისენის ზოგზასაც. ამგვარად ხელოვნება მით არის დაადი, რომ იგი ხელს უწყობს ზიროვნების თვითგამორეკვევას, გათავისუფლებას. უაიღის ამგვარი თვალთსხრისი ეწინააღმდეგებს ამ ხარის, ვითომც ხელოვნება თანამედროვე კმაჰის, მის მონაღურ და სოციალურ ზირობათა აღბეჭდვას... „ხელოვნება არავის გამომსატვას, გარდა თავის თავისა“... ხსლხი ხელოვნებაში ესიკეს თავის ჭუჭქიან ვნებათ სარკეს. ეს ასე არ უნდა იყოს. „ხელოვნება თავისუფლდება კანცობრიობის სულის უდღისსკან. იგი ხსლხის აარადის და მსსლხის შექმნებით უფრო მეტს იძიქს; ვინემ ხელოვნების-მიმართ ამ თუ იმ **ენცუზიზმი**. ეს ხსლხი აარადი და მსსლხი არის გაფიქსხეუი ვნება და აღმიანის შეგნების დიდებული მკვდრეთით აღდგომა... ხელოვნება თვითვე ვითარდება; იგი არ არის რომელიმე სუეუენის სიმბოლო, არამედ თვით სუეუენი არიან ხელოვნების სიმბოლხი...“

ზეტრი დაღვაჲე



სული ყვავილად ქსეული (ნოველა)

— საყვარელო, ცელქო ნიაგო! ერთხელ მაინც უცსდექი და მიამბე რამე ქვეყნის ამბავი.

ერთ წუთას არ შეისვენებ, შეუჩერებლივ მირბიხარ, მიჰქიხარ, მიეჩქარები; ნახად, წყნარად, იღუმალად რაღაცას მეჩურჩულები; გრძობით, ალერსით რაღაცას ჩამსისიებ; მე მაინც აქამდის ვერ ვისწავლე შენი ენა, ვერ შევეჩვიე შენს ჩურჩულს, შენს სისინს, მაგრამ როგორ მენატრება ერთხელ მაინც გავიგონო რამე.

შენ აღბად ისეთი საამო ხმა გექნება, ისეთი მომხიბლავი კილოა შეგ ჩართულისინაზით, ტბილ ჰანგებით, რომ მე მგონი მე არასოდეს არ დავსკუნები, ვიდრე შენი ხმა ტბილ ზღაპრად ყურს მემინება. ერთხელ მაინც გამომელაპარაკე ჩემს ენაზე, ჩემ მშობლიურ ენაზე! შენ, ჩემო ნაზო! ჩემო ლაქუცაჲ! ყველა ენაზე შეგიძლიან ტბილად ჩურჩული, გრძობით ბაასი; მიამბე რამე, ნიაგო! მიამბე, აგრემც შენ გენაცვალები, სურნელად დაგედინები...“

ასე ეხვეწებოდა ქვეყნის მკერლზე ცელქად მოსისინე ნიაგს ნაცარა ყვავილი, მწვანე მინდორზე ობლად ნახარდი, საყორღნე ქვის ქვეშ შეფარებული.

ბ ი ა შ ი

— როგორ გითრთიან ფურცლები, როგორ გიკანკლებს ღერო, საწყალო ყვავილო, ობლად შთენილო, ტილ მინდორში მიტოვებულა!

გავახარებს სხვის ნეტარება? გავამხიარულებს სხვის ზედნიერება?

მაშ გეტყვი, ჩემო ნაცარავ, ჩემო აზიზო, ობოლო ყვავილო, თუ ვით შემიყვარდა ერთი ვინმე ტურფა ასული.

დღეს, როცა მზის სხივება ჯერ მიწას არა ჰღირსებოდენ, მხოლოდ ზეცას ეაღერსებოდენ, როცა შენ ჯერ ისევ დილის ნამ ქვეშ თავდახრილი გეძინებოდა, მე მხიარულად, თავისუფლად მოკეპროლავედი ჩაძინებული ზღვიდან, თან მომქონდა მისი ზღაპრები, მისი სიზმრები, ქაბუკთა გულში ჩასანერგავად, მით გრძობააა ასაღლეგებლად.

როცა მოვალწიე აიგერ, აიშ შორს მდებარე დაბას, უღარდელად შემოვუქროლე ხეებს, თავისუფლად დევიქერ ჯუჭურუტანებაში, ფანჯრებში და, აი, ერთ ფანჯარაში ეიხილე იგი, ვინც შემიყვარდა, ვინც მომხიბლა, მომაჯადოვა.

იღვა ჩაფიქრებული, გაშტერებული. სიწყნარე ზღვისა მის სახეში ჩანერგილიყო, სიმკრთალე ცისა იმის სახეს ზედ მოჰფენოდა.

თავის სიწყნარით, თვისი სიმკრთალით, იცი, ნაცარავ, ჩემი სატრფო შენ დაღადირა!

რასა ფიქრობდა?—ჩემთან ერთად ჰნატრობდა იგი შორ გაქროლვას ოცნების მხარეს; ეაღერსებოდა უჩინარ მიჯნურს, შესჩერებოდა მის უხილავ სახეს; თუ თავისი მშვენებით იღუმალად მოამაყე იღუმალ გრძობით ეუბნებოდა ამომავალ მზეს, ნუ ამოხვავილო, რადგან ქვეყანას იგიც კარგად გაუწევდა მის მაგივრობას.

ან იქნებ მიმქარად სამი კვირის მოვარეს ევედრებოდა სული ჩსულიყო, რადგან ქვეყნისთვის მის მშვენება იქნებოდა უკეთეს მოვარედ?

მე არ შემიძლიან ვით ადამის ძეთ დიდ ხანს შორიდან აღტაცება. მე მაშინათვე თავ-დაუქურტლად მოვეხვიე მის თმებს, მის სახეს, მის სიწყნარეს, მშვენიერებას; მკერდშიც ჩავეკარ, გულშიც ჩაესწვდი ვით სატრფოს გრძნობა და იგიც შეკრთა ვით უმანკო, ხელუხლებელი და იცი, ნაცარავ! უცნაური მსგავსება ვნახე შენს და მას შორის: სწორედ შენც ისე შეკრთები ხოლმე, როცა პირველად შემოგობერავ და დილის ნაშა, ვით ობოლ ცრემლებს, ძირს გაღვრევიანებ დედამიწაზე.

მისი სიწყნარე, მისი სიმკრთალე, მისი შეკრთომა და ნახი სუნთქვა გულში ჩაივკარ, თან წამოვიღე, მისით ვამღერებ მთასა და ბარსა, მით ვაშრილობ ბალახებს, ხეებს. ხან ნეტარ ნანად ვუმღერებ ძილში, ხან-კი ზღაპრებად მოვეუთხრობ ტკბალად.

წელი ნიავის გრძნობით ბაასი თავისი სატრფოს სილამაზეზე, რომელსა ყვავილს, რომელსა ბალახს ის არ მოჰზიბლავს, მოაჯადოვებს? რომელი ხენი, რომელი კლდენი არ მოისმენენ ოცნებით ბაასს!

ყველას მოვეუთხრობ, ყველას ვუმღერებ, ყველა მომისმენს, ყველა დასტკბება.

ნ ა ტ ვ რ ა

— კარგი, ნიაგო, კარგი, მაკბარე ესოდენ ტანჯვა და ნეტარება...

ჩემი სატრფოა ის უცხო არსი, ეგრე მძლავრად რო შეგყვარება.

ბ ი ა შ ი

— დაჩაგრულო, საწყალო ნაცარავ, შენ სად იხილე მისი მშვენება?

ნ ა ტ ვ რ ა

— ოჰ, ნიაგო, ნიაგო! თუ ყურის გდებაც ისე კარგად იცი, ვით ზღაპრის თხრობა, მაშ მომისმინე, მომისმინე დაჩაგრულ ყვავილს.

სულაც არ არის დიდი ხანი მას შემდეგ, რაც ქვეყნად ცხოვრობდა ერთი ქაბუკი. სულაც არ უცხოვრია დიდხანს. მას ისე უყვარდა სიცოცხლე, ვით შენ—სიცელქე; ისე ეჯავრებოდა სიკვდილი, ვით შენ სიჩუმე. სიკვდილმა მიანც არ შეიბრალა. უღროვოდ მო-

სტაცა იგი სიცოცხლეს, თვითონ ჩაიკრა მკერდში მხურვალედ და მოაბარა მიწას სალხენად.

მისი ხორცი და ძვლები მიწამ აქცია ისეე მიწად, მისი სული-კი, აი, ყვავილად ამოველი, ობოლ ყვავილად.

მე ვარ სული ქაბუკისა, მე ვარ თვით ქაბუკი.

ყური მიგდევ! მეც მოგიუთხრობ, თუ ვით მიყვარდა ის ტურფა არსი, შენ რომ მოგზიბლა.

მეც არ ვიცი პირველად როგორ შემიყვარდა, სიზმარში ნახული, თუ—ცხადე ნახი, მხოლოდ ვიცი, როცა პირველად შეეხვედი მის სახეს, მაშინ უკვე მიყვარდა იგი თავდავიწყებით, გატაცებით, ვითა ფარვანას—სანთელი ბნელში. მიყვარდა ის სახე, რომელიც თითქოს შექმნილი იყო ხალხის ლოცვით, მიჯნურთა სიყვარულით, ქაბუკთა ოცნებთ და ჩვილთა უმანკობით.

ამის შემდეგ მე ვარსებობდი მხოლოდ იმ სიყვარულით.

ჩემი მზის ამოსულიდან ჩემ სიყვარულის განთიადამდის, რაც სილამაზე და მზიბლავი მენახა რამე, სულ მის სახეში გადავგრევი, იქ ვაუყვავებ...

თუ სადმე გამეგო ტკბილი ჰანგი, ან ჩანვით თხზული, ან ბულბულისგან ნასტენი, ან ტყემო ნასმენი, ზღვაზე ნაჩქეფი, შენი სინაზით ნაჩურჩულეები, ყველა გავგზავნე ჩემ სატრფოს გულში, იქ ვაჯუღერე.

რაც სიცოცხლეში მე მქონია ნატვრა საამო, ოცნება ტკბილი ცხოვრებაში გამოუცდელიობით შეთხზული, თავდაუქურელი წყურვილით მინაწლომი, ძლიერ გრძნობებით აღმოცენილი, სულ ყველა იმას მოვახვიე ნაზად გარშემო და თვით იგივე თვის შეუმჩნევლად, თვის უნებურად ლამაზდებოდა ჩემის ოცნებით.

ჩემთვის აღარ არსებობდა ცაზე მზე, მთვარე და ვარსკვლავები... ჩემი მზე და მთვარე ამოდლიდენ მაშინ, როს ვიხილავდი იმის სახეს; ვარსკვლავები აინთებოდენ, როს შემომხედდენ მისი თვალები.

ტანჯვით და სიხარულით, ცრემლით და

სიცილით მე მარად მას ვუმღერდი, მას შეეხაროდი, მისთვის ვიკენსდი.

ოჰ, ნიაგო, ცელქო ნიაგო, როგორ მიყვარდა! ჩემი სიყვარულით სხვასაც შეფაცვარე მისი მშვენება. ჩემის ალტაცებით სხვაც მომყავდა ალტაცებაში მის სიღამაზით, ჩემის აღფრეცხვით სხვასაც ვულფრეცხვით გულს მის დანახვავზე. მე იმის მნახველთა ყველას ვასწავლე მის დაფასება, მის სიყვარული. ჩემი სიყვარულით თვით მას, ტურფასაც, ავუზილე თვისი თვალები და დავანახვე თვისი მშვენება და წარმტაცობა. ჩემი მოხიბლვით მასაც ვასწავლე დაფასება თვისი მხიბლავის. ჩემის ალტაცებით მასაც ვასწავლე სიამაყე თვისი სიღამაზით.

იგი გავამდიდრე მე, გავამდიდრებინე სხვასაც.

იგი ამაყოფდა ამ სიმდიდრით. ამაყოფდა ჩემ წინ, ამაყოფდა ყველას წინ.

სიყვარულში, ალტაცებაში, ჩემ ტანჯვაში და ტრემლთა ღერაში, მეც ვერ გაიგებ, თუ სიკვდილი ვით მომეპარა და სიცოცხლეს საშუალოდ გამომასალა.

აქ დავიმარხე. აქ იქცენ მიწად ქაბუჯის ძვლები, და სული-კი, აი, ღელვით გეხასხება.

არ მინდოდა, რომ სიკვდილის შემდეგაც არაფერი სიამე არ მიმეძღვნა ჩემი სატრფოსათვის. საწყალ ყვავილად ამოვყედი და ველოდები, იქნებ ოდესმე გამოიაროს ამ მინდორველზე, იქნებ მომწყვიტოს და ამითი სიამარადისოდ გავეჭრე მის ხელში.

მე არ მინდა ან სიცილემ გამაქანოს, ან —სიცილემ, მე მინდა სატრფოს ხელშივე დავსკვნე, ვუფრთხილდები ჩემ თავს: როცა ცივა ან ძალიან ცხელა, ფრთხილად შევიკუმშები ხოლმე ამ ქვის დაბლობში და იქიდან ველოდები გამოდარებას და აგრილებას. მხოლოდ როცა ივტრძობ ხოლმე შენს მოახლოვებას, მაშინ გამოვყვებ თამამად თავს და ვიფურჩქნები.

მაგრამ ზამთარი ჩქარა დადგება და ვაი, თუ საშუალოდ გავსკვნე მე მაშინ. ვეღარ ვიხილავ მე ჩემ სატრფოს, ვერ ველირსები მის სიკვდილს, ვერ ვეწნოსები უქანასკნელად.

მზის ყოველ იმოსვლასა და ჩასვლავზე მე

მარად ველოდები მას მოუთმენლად, მაგრამ არა სჩანს, არა სჩანს...

6 0 1 3 0

— ნაზო ყვავილო! საწყალო ნაცარავ! ვით დატანჯულხარ, ვით იტანჯები!..

მაშ მეც იმიტომ შემყვარებია ის შენი სატრფო, რომ შენ გიყვარდა. მე შენც მიყვარხარ. მე მიყვარს შენი სიყვარულიც შენ სატრფოსადი.

მე მოვაქროლებ აქ შენს ოცნებას, მე დავანახებ შენ სატრფოს სახეს, თუ კი ამითი შენ ვაიხარებ.

6 5 3 5 5

— გმადლობ ნიაგო! რა ნაზი ხარ, მგრძნობიერი, მოსიყვარულე.

ოჰ, რომ შესძლებდე შენ ჩემ სატრფოს აქეთ მოყვანას, მაგ სიყვარეს თვით უკვდავება: დაიხსომებდა საზარადისოდ.

როგორ შენატრება სატრფოს ხელით მოწყვეტა! როგორ შენატრება მის მკერდზე დაქანობა!..

ოჰ, ნიაგო, ცელქო ნიაგო, შემისრულე დანაპირები! გეგეწეწები... გემუღარები!..

თანაგრძნობის ნიშნად ლაქუცით შეაშრილა ნიაგმა ყვავილას ნაზი ფურცლები და გაჰქროლა სხვა მხარეს.

ასახვერ გამოიცვალა მხარე მოუსვენარმა ნიაგმა. იგი ხან ერთ გვერდიდან შემოჰქროლავდა, ხან მეორედან, რომ სასწიროდ გამოსულნი ასულნი, რომელთა შორისაც იყო ნაცარას სატრფოც, რამე ნაირად მოეყვანა აღნიშნულ ადგილს.

როცა იგინი ზურგს შეაქცევდნენ ყვავილის მხარეს, მაშინ ნიაგი მათ პირ-ქარად გადმეტეოდა. როცა იგინი იბრუნებდნენ პირს ყვავილისკენ, მაშინ-კი უსამზღვრო ლაქუცით ზურგიდან დაჰბერდა; სინაზით, სისინით იმათ წინ მოჰქროდა, ბოლახებს აწვენდა, აშრილებდა; ტურფა ასულთ, მის შეყვარებულის ყვავილისკენ მოიწოდებდა.

თითქოს იღუმლად მიხვდნენ ასულნი ნიაგის მიზანს, თითქოს გაიგეს მის მოწოდება

და უსიტყვოდ, უნებურად დაემოხრილენ იმის წყნარ ქროლას.

მიუახლოდნენ.

თითქოს ტურფამ იგრძნო რაღაც დაღალულებობა. მან დაინახა საყორდნე ქვა ტრიალ მინდორზე და გაეშურა წამს იმისკენ დასასვენებლად.

მივიდა ტურფა, ჩამოჯდა ქვაზე და თავისუფლად ამოსუნთქა.

რა დაინახა ყვავილმა თავისი სატრფო, ათრთოლდა სიხარულით, აკანკალდა ნეტ რეზბოთ, ქვის ქვეშედან მოუთმენელად გამოჰყო თავი; გაღმალა, გაღმურჩქნა მოულოდნელად და თან სამო სურნელება მოჰფინა მინდორს.

ტურფამ შეჰყნოსა ყვავილის სუნთქვა, მოიხიბლა, მოეწონა და მიიხედ-მოიხედა, რომ ენახა სა ჰყვოდა.

დაინახა ნაცარა ყვავილი, ამყურად თავ-აშეგრილი, სიხარულით გადაფოთილი დასწვდა ღიმილით, მოსწყვეტა ნახად, დაჰყნოსა ტბ-ლად და ს ფრახ ლიი მკერდს და მ გრა.

ნიაგმა სიხარულის ნიშნად ერთი შეითამაშა ცელქად თავისუფალ ველზე.

ყვავილმა უკანასკნელი ამოსუნთქვასავით ერთხელ კიდევ გაშალა ფოთოლნი სიხარულით და შემდეგ დაიწყო მისი ქნობა, მისი სიკვდელი სატრფოს ნახ მკერდზე.

სქენებოდა ყვავილი, იმის ქვეშ-კი წყნარად სცემდა სატრფოს გული სიცოცხლისთვის გამზადებული.

ნიაგე-კი თავისუფლად დასეირნობდა; დაჰხაროდა ყვავილის სიკვდილს და სატრფოსს — სიცოცხლეს, ღიმილს...

ლევ. მებრეველი

უ ი მ ე ლ ო

ბედმა მიმუხთლა, საბრალოს, სულსა მიხუთავს, მადონებს, უწმინდეს გრძობებს გულს მიკლავს და მღვრევეინებს მწარ ცრემლებს...

სიცოცხლის კარი დამიხშო, ცხოვრების მუხრუქს მიქირებს, „იქ“, არის შენი ბინაო — ცივ სამარისკენ მიითბებს!..

იმერელი ქალი

სალამო იყო...
(ეტიუდი)

სალამო იყო, სახლში ვიჯექ დაღონებულს!..

ათასი ფიქრი თავს მეხვეოდა, წყარო საზრდოსი, დღიური ზრუნვა გულს მიმფოთებდა, აზრებს მირევდა...

უცებ მომესმა მზიარული, ტკბილ—ჰანგიანი ვალსისა ხმა!...

ჩემი ფიქრები დადუმდნენ!.. სედლის ბრქვალეები დაოღდენ და გულს მოეშვენ!... ძარღვებში სისხლმა დამიწყო ჩქეფა!.. სმენად ვიქეკი!..

ვიწრო ფარგლიდან გამოვფრინდი... ღიმილმა მიწყო ბედშავს თაშაში... ფრთები შემესხა, აფფრინდი... მომწყურდა რაღაც უმაღლესი, ნეტარი წმინდა, სიხარულით სავსე ლამაზი!..

აღფრთოვანებით მივფრინავდი სულ მაღლა, მაღლა!..

ვიგრძელე ოთახის სივრწროვე, მომინდა ფართო შლილი ადგილი...

მარდად ჩავიცვი, მთაზედ აგვარდი!.. იქ ვიწყე ფრენა მაღალ აზრებში და თავისუფლად ამოვისუნთქე!..

დაღაშდა, მეცა ჩაჰოვფრინდი... დღდა-მიწა ვიგრძენ ფეხის ქვეშ და... ოცნების შემდგმ გულმაც მიწყო მწარედ ტკივილი!..

ოხ, რა მოკლე იყო ეს ტკბილი ოცნება!.. სვედიანად გადავაყვლე თვალი ქალაქსა და დავინახე განაპირა უბნები, სიბნელით მოცული!.. აქა-იქ ოდნავ ბუტუბადენ ფანრები! იქ არა იყო-რამ მოძრაობა!.. მშრომელთ, ბედ-შავ მუშათ მისძინებოდათ დღიურ ჯაფის შემდეგ!...

შუა გულში-კი ელექტრონის სინათლევზე, საფარებიდან გამოცოცხებულიყვენ და განცხრომას ერთად თავ-დავიწყებოთ მისცემოდენ ობობანი, გველ-ბაყაყნი, ჯოჯონი, ღამურა ჩიტნი და პეპელანი!

რა უმეზავსად დასცოცავდენ წყვდიად ღამეში ძიარს დავემევი!.. და კვლავ გულზე სვედა დამაწვა!...

გიორგი ფოტოგრაფი
გუნაბეგოვი
მედიკოსი

დრამატული გამგეობის წევრი

ვოლ. 2 ქოქ. ავ. გამართლას
(გაგრძელება, იხილეთ „თეატ. და ცხოვ.“ № 11, 12)

III

პეტრი და ლოთი

ლოთი. (ხელს აწმუფებს)

პეტ. დაბანდილი. (ლოთი ჯდება) რა საქმე გაქვსთ ჩემთან?

ლოთი. მე ერთი მარტოხელა კაცი ვარ, აი ესე, როგორც მიყურებ. ჩემი დღეები. ქეიფსა და ლოთობაში ვამიტარებია, ერთი დღე არ მახსოვს, ფხიზელი ვყოფილიყავი.

პეტ. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ახლა რა გნებაეთ?

ლოთი. რა მნებაეს? ისა, რომ მომბეზრდა ასე ხეტიალი და საქმე მინდა გავიჩინო, მაგრამ სად მიმიღებენ მე ახლა, და კიდევ რომ მიმიღონ, რა უნდა გავაკეთო? ჩემი ხელობა ლოთობაა, კრივი და სიმღერა. ჰოდა გავიგე, რომ თქვენ დრამატულ საზოგადოებაში—ფრანკციული სიტყვაა და არ მესმის—შეძახებულხართ და გთხოვთ არტისტად მიმიღოთ. მე სწორედ არტისტად ვარ დაბადებული. ზურნა, დუღუკი, არღანი, ქეიფი, ლოთობა, მუშტი, არშიყობა, ეს სულ ჩემი მოგონილია და არტისტს სხვა რა უნდა. ვაი დედასა, სცენაზე რო ლოთისა თამაშობენ ხოლმე და ღვინო კი კაპლი არ დაუღვინეთ, აბა ის რა თამაშია? მე რომ მარტო ჩავითვარება და ისე გამოვალ, აბა მაშინ უნდა უყუროთ, ისეთ რამეებს ვიტყვი, რომ მთელი ხალხი სიცილით მუტლებს დაიფხრჩიან.

პეტ. თქვენ სცენაზე არ მიგიღებენ, ერთი იმიტომ, რომ თქვენივე სიტყვით ლოთი ჰყოფილხართ. ლოთი არტისტი სცენისათვის არ გამოდგება...

ლოთი. (გაწვეკატინებს) ეე! რას ამბობო, რასა, როგორ არ გამოდგება, როცა მე ყოველდღე არტისტებთან ვქვიფობ ხოლმე, ისე ჩამბაღან, რომ გათენებამდე სტოლ ქვეშ უგორავნიათ. მოდი ერთი გავკოცო... მე მივი-

ბრებიან და აბ იმდენი დაღვეის თავი სადა აქვ. ჩემ ძარღვებში სისხლის მაგიერ ღვინოა.

პეტ. ეგეც რომ არ იყოს, თქვენ ხნიერი ხართ და რაღა დროს თქვენი არტისტობაა.

ლოთი. ეე, ხნიერი რომელია?! მაშ არ მიმიღებ?

პეტ. (გუშლისუფლი) გთხოვთ აქედან ვაბანდილი.

ლოთი. ვა, რას ცხარობ, ერთი მამა გიცხონდება. არ გინდათ?

პეტ. არ მინდა.

ლოთი. ამ ჩემ ფეხებს, თუ არ გინდათ, წავალ. (გადას)

(ლოთა ხნის შემდეგ შეიშავა ხნში შესული, სახენ-მონათქმული ქალი და ჰეტრეს თავს უკრავს)

IV

პეტრი და ქალი.

პეტ. (თავისთვის) ნამდვილად ამასაც არტისტობა უნდა. (ხელს ჩაშლავს) დაბრძანდით, რანგებათ? სასამართლოში გაქვთ საქმე?

ქალი. სასამართლო სად არის, არც კი ვიცი. უნდა მოგახსენოთ, რომ მე სცენა ძალიან მიყვარს.

პეტ. (თავისთვის) ღმერთო ჩემო, ამავე სცენაზე შესვლა მოსურვებია.

ქალი. (განაგრძობს) სამოცდაათ წელს მე რამდენჯერმე კიდევ ვითამაშე. ახლა რომ ჩვენ სცენას ვუყურებ—გული მისკდება. არც ერთი დარბაისელი, დინჯი ქალი, არც ერთი გრანდამი თქვენ არა გყავთ. სულ გამოუცდელი, უსუსური გომბიოები გყავთ. აი მე მიზნით სცენაზე და ნამდვილი გრანდამი ვიქნები.

პეტ. თქვენ ვითამაშნიათ სამოც და ათ წელში. მას აქეთ აგერ ნახევარი საუკუნე გადის და რაღა დროს თქვენი სცენაზე შესვლაა. მე თქვენ გირჩევთ ახლა დაბანდილი და სცენის ისტორია დასწყროთ ამ ხნის განმავლობაში.

ქალი. (წამოადგება) თქვენ დიდი გაუზღელი და ბრძივი ყოფილხართ სწორედ, როდესაც ქალს შეტურაცყოფას მაყენებთ. მე იმას მოვინახამ, ვინც უფრო დააფასებს ჩემს ნიქსა და ღირსებას და ათასიც რომ ეცადოთ, სამშობ-

ლო სცენის კარებს თქვენ ვერ დამინზობთ!
(გდაის. შემოდის ახალგაზდა ემაწვილი **ბლუ** და
თავს უარავს)

V
პიტრი და ბლუ

პეტ. (ხელს ართმევს) დაბბანდით (ბლუ
თავს უარავს და დაჯდება) რა საქმე გაქვსთ
ჩემთან?

ბლუ. (ტუჩების აცმაცუნებს, ცხვირის ხეს-
ტაკებს და თვალებსათამაშებს, ქუდს სრუსავს ხელ-
ში რაოდენაზე ხანს) მ... მ... მ... მე, გ... გ...
გ... იიი... ააა... ხ... ხ... ხელით... დღ...
ა... მმმე-ხმა-როთ ერთ სსს... ააა... ქქქ...
მეში.

პეტ. (თავისთვის) ამას ნამდვილად სასა-
მართლოში აქვს საქმე. (მაგდას მოუფდება, გა-
ღაშს ახლებს) თქვენი სახელი და გვარი?

ბლუ. ჩჩჩ... ეეე... მი სსს... ხელთ ა...
და გგვ... ვარი ჯჯჯჯ... ჯიმშერ ყყყ... ყყყ...
ყყყო... უყყო... ყუში... ყლოყუ...

პეტ. (სწერს ქაღალდზე და იმეორებს ხმა
შადღა) ჯიმშერ ყლოყუმიშვილი. რაში მდგო-
მარეობს თქვენი საქმე?

ბლუ. მმმ... მე... მიიინდა აააარრრტტტ...
რუტუტუ... არრ... ტტტ... ტის... ტისტობა.

პეტ. (წამოხტება და თვალებს იფშვანტს)
არა, სიხმარში ვარ თუ ცხადში; თუ ცხადში
ვარ, ე ხალხი ვადირია, თუ მე დამკირიან.
(ბლუს) იმისთანა პიესები მე არ მებეღებია,
რომელშიაც სათქვენო როლი იყოს.

ბლუ. რრრ... რომელ... ლო... ლო...
ლო... როლიც გნებავთ ვი... ვიი... ვიი...
თთთ... ააა... მაშეგ.

პეტ. ახირებულია, შენმა მზემ, როგორ
ითამაშებთ, როცა ერთ სიტყვას ერთ ვერსზე
აქიანურებთ.

ბლუ. ხს... წოოო... რეთ ძძძა... ააა...
ლიან გგგ... ეეე... ეეე... წებათ.

პეტ. თქვენი ხეიწნი ახირებულია, თქვენ
ისეთი ნაწლი გაქვთ, რომ არტისტობა თქვენ-
თვის ყოვლად შეუძლებელია.

ბლუ. გგგ... ააა... მააა... მამცადეთ.

პეტ. რა გამოცდა გინდათ, ბატონო!
შეიძლება ძალიან კარგი ნიჭიც გქონდეთ, მა-
გრამ ენა არა გაქვთ.

ბლუ. რრრ... რრრ... გორ ააარ მა-
ააქვს ეენა. (ენს გამაჭყოფს)

პეტ. (იფინის) პირში ენა კი გაქვთ, მაგ-
რამ თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს,
ლპარაკს ვერ ახერხებთ, ენა გებმებათ ძა-
ლიან.

ბლუ. რრრ... ოოო... ლებს დღ... ეეე
... ეიხეეე... პირებ ძძძაა... ლიან და ააა... აღარ
დღღაა... დამეეებ... ემება ეეე... ნნა.

პეტ. ათასი ვაიზებიროთ, მინც არა იქ-
ნება-რა და უმჯობესია განდევნოთ ის ახრი,
ვითომ თქვენ არტისტობა შეგეძლოთ.

ბლუ. მმმ... ააამ ააარ მიმილებთ?

პეტ. თქვენ თითონ დაუკვირდით თქვენს
თავს, განა შეგიძლიათ არტისტობა?

ბლუ. შშშ... ეეე... ეეეძლია. (გაჭყრებუდი)
ნაა... მეე... ქნარი გგგ... ვულ ქქქვაი ყყყ...
ყოოო... ოფილხარო. (გაღის)

პეტ. (ხელებს ადამყრებს) ღმერთო ჩემო,
ე რა ხათბალას გადავიკიდე!

(შემოდის **მამა** და შემოაჭყავს 17-18 წლის **ვაჟი**)

VI

პიტრი, მამა და ვაჟი (უსიტყვოთ) *(აქტიუზი)*

მამა. დილა მშვიდობისა (ხელს ართმევს შე-
ტრეს) სოლომონ მამრადაშვილი გახლავართ.
ეს კიდევ ჩემი შვილია. ერთი სათხოვარი მაქვს.

პეტ. ბბბანეთ.

მამა. უნდა გამოტეხილი გითხრათ, რომ
ამ ჩემ შვილს თავის წონა ფული დავხარჯე.
რეპეტიტორები ცალკე ვტკირავე, მასწავლე-
ბლები ცალკე, მარა არ იქნა და არა, ამის
ტვინში არა ჩავიღარა: თითო კლასში სამსაჟი
წელიწადი იჯდა. ერთგან შევიყვანე—გამომი-
გდეს, მეორეში შევიყვანე, იქიდანაც გამო-
ავდეს. ყველა ამს მებუზება, უნიჭუა და სწა-
ვლა ამ შეუძლიან. ჯანაბას ამისი თავი-მ-
თქი, ვიფიქრე: ყველა ხომ ნასწავლი არ იქნება-
მეთქი და ჩემთან დავაყენე. მიკიტანი გახლა-
ვართ. თუ პატარა წამეძინებოდა ან გავიდოდი
საღმე, ეს ურჯულო და ურწმუნო, ეს ღვთი-
სიგან შეჩვენებული მიეპარებოდა რუმბს და
ხარი როგორ დაღვეს იმდენ წყალს, ეს რომ
ღვინოს დაღვედა. სწავლაში ამან არ ივარგა,
ეპქრობაში ამან არ ივარგა, არასფერში არ

ივარგა და ამიტომ გადავწყვიტე არტისტი გამოვიღეს.

პეტ. (თავისთვის) ე რა მდგომარეობაში ჩავფარდი, ეს რა ქირი დავიტყვე თავზე! (ამას) გადავწყვიტე, გადავწყვიტე, მერე რა გინდათ ჩემგან?

მამა. როგორ თუ რა მინდა? თქვენ თეატრი შეგიდგენით და გთხოვთ, ჩემი შვილიც იქ ჩასწეროთ და მიიღოთ.

პეტ. ეს თქვით მივიღეთ კიდევ, მაგრამ თუ არსად ივარგა, რაღა არტისტად ივარგებს? იქ კი ნიქი არ არის საქირო?

მამა. შე დალოცვილო, ხამი ხომ არა ვართ. მადლობა ღმერთს ცოტ-ცოტა ყველა ხელაობის მესმის. თეატრიც ვიცი, ცირკიც-არტისტი უნდა იყოს მსმელი, ყბელი, მოქიციფე და მოარშიყე... აბა ეს ყველაფერი ამას მოკითხე: (შვილზე უთითებს) სმა და ქეფი, ღმერთმაც კაი მოგცეს, კარგად ამან იცოდეს. ღონოში ამოუღის სული. ნეტავი ვის გამოეგვანა! მანა მამა ნაც ჰყავდეს ლოთი ან ზიძა, ან ზახუა. ყბედობა, ბატონო: აქ არის გაჩუმებული, თორემ სახლში მთელი დღე ლაპარაკობს და დარბის. ძაღლის ყბა გაჩერდება და ამის ყბა-კი არ გაჩერდება. არშიყობა კიდევ, ბატონო რაღა დავმალო თქვენთან და მეზობლის ქალები გადამირია სულ. ლამის მდამურები გამექცენ. თამამად შემოძლიან გითხრათ, რომ ამისთანა არტისტს შუადღისას სათლით ვერ მონახავთ.

პეტ. თხოვნა შემოიტანოს და გამოცდიან, თუ გამოდგება მიიღებენ?

მამა. აკო მოვახსენეთ არტისტად არის დაბადებული. მშვიდობით. (ხელს აწმქევენ ორივენი და გადის)

პეტ. (ოთხში დადის) ღმერთო, ეს რა ქირს გადავიკიდე. (შემოდის ჩასუქებული **სირაჯი**)

VII

პეტე და სირაჯი

სირ. (თავს უგრავს) კნიაზს გაუშარჯოს!
პეტ. (თავს უგრავს და ხელს არ აწმქეკს) რა გნებავთ?

სირ. თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს.

პეტ. ამასაც არტისტობა უნდა უსათუოდ.

(სირაჯს) თუ ღმერთი გწამთ აქედან წაბძანდით. **სირ.** ვაჰ! ეგრე როგორ იქნება. ერთი მომ სმინე რას ვამბობ დაა.

პეტ. რა მოგისმინო, წინდაწინვე ვიცი რომ არტისტობა...

სირ. (გაწყვეტინებს) ჰოო!..

პეტ. ჰოდა მიბძანდით, თუ შეიძლება დეს, მიბძანდით.

სირ. (თავისთვის) ვაა, ნამდვილად იმ არამზადებს მოუქრთამავო, იმ შობელძაღვლებმა საიდან გაიგეს, რომ მე აქ წოვდიოდი. (შტრესს) მერე რა უნდა ვივიო თ, საქმე რაშია?

პეტ. რა გავება უნდა, ეთქიროცა თქვენ თითონ იძახით არტისტობა მინდაო.

სირ. ვაჰ! არტისტებიც ღმერთმა დასწყევლოს და იმათი მომგონიცა! კნიაზ არა გცოდნია, მომისმინე დაა. მე ერთი სირაჯი ვარ, ეს ერთი წელიწადია არტისტები შემომეჩვენენ. დღე ერთი არის და ისინი აჯგერ ქეივობდენ. ხან ერთი იძახდა ჩემზე დაწერეო, ხან მეორე, ხან მესამე. ვხედავ რომ წელიწადი გადის და არაფერს კი არ მადლებენ. ნისია გაიზარდა. ერთ დღეს, როცა საქეიფოდ მოვიდნენ, მე უთხარია: არა, ჩემო მშაო რაც იქეიფეთ ნისიად, კმარა. ჯერ ძველი გამისწორეთ, მერე ისევ დაიწყეთ ქეიფი მეთქი. მოშორდი ერთიო, მითხრეს და გაჯავრდნენ, რამდენჯერაც არ ვთხოვე—არა გვაქვს და არ გაძღვევო, წადი და გვიჩივლყო. და უღვაშებს რომ ცაცი მოაპარსავს, იმას სინდისი საიდან უნდა მოვკითხოთ. ახლა გავიგე. რომ არტისტების უსტაბაში თქვენა ჰყოფილხართ და გთხოვთ ჩემი ნისია დამიბრუნოთ, აი სჩათი. (ჭიბიდან ქაჯადებს იდეუს და აწყდის)

პეტ. (არ აწმქეკს) თუ არტისტებს რავე მმართებთ თქვენი და არ გაძღვევენ, მაგისთვის სასამართლოა. წადით და იჩივლეთ.

სირ. ვაა, მე ხომ ტყვილით არ გაგრჯით. ოცდახუთიანიც თქვენი ხელფასი იყოს...

პეტ. (გუფმოსუფი) მე გთხოვთ აქედან მიბრძანდეთ.

სირ. ვაა, მიგბრძანდე რომელია. არ გინდათ და წავლ. (მოდის და გამოპრუნდება) აბა ძაღლი ძაღლის ძვალს გასტებს? (გადას. შემოდის **პირველი პოეტი** და შედაღურად თავს უგრავს)

VIII

პეტრე და პირველი პოეტი

პეტ. რა გნებავთ?

1 პოეტი. მე წარვუდგინე დრამატიული საზოგადოების გამგეობას ორი ახალი პიესა, პირველი ტრაგედია იყო „დაფლეთილი გუ-ლი“ მეორე კი დრამა „დაქუეული სული“ და ვთხოვდი, მალე განეხილათ, თუმცა დიდი განხილვა არც ერთს არ უნდოდა, რადგანაც ორივე შესანიშნავი რამ არის და სრულებით ახალ მიმართულებას აარსებს ჩვენს სიტყვა-კაზმულ მწერლობაში.

პეტ. დრამატიულმა გამგეობამ ორივე თქვენი პიესა განიხილა და არც ერთი არ მოიწონა, პირველი იმიტომ, რომ ის ტრაგე-დია კი არა, უწინა მოთხრობაა, მეორე კი — დრამა კი არა, უთავბოლო მუსაიფია.

1 პოეტი. (ზაზღით მასწავლებლს რამდენსავე ხანს) მებრალეებით, მეცოდებთ; თუ თქვენ ჩემი ტრაგედია და დრამა ვერ დაფასეთ, თუ თქვენ ვერ შე-გნეთ მათი მშვენიერება, თუ თქვენ ვერ მიხედით, რომ პირველი გამოხა-ტავს სამბოლოს მსოფლიო მწუხარებისას და მეორე კი სიმბოლოს მსოფლიო სიყვარულისას, თქვენ სრულებით ბრეყენი, განუვითარებელ-ნი და მხეცნი ჰყოფილხართ. ახლა კი გნე-დვ, კარგ-თა გნედავ, ვისთვისაც მიმიცია და-საფასებლად ჩემი მარგალიტები, საუნჯე ჩე-ვნი ლიტერატურისა. (დინჯად მობრუნდება, იმა-ზე ხეჯს კადისგამს და გადას)

პეტ. საკვირველია, როგორ დაჩივდა ხალხი. დასწერენ უხეირო მოთხრობას, და-წერენ ზედ დრამას და თავი შექსპირი ჰგო-ნიათ. (კარი გაიღება, შემოდის მარო)

IX

პეტრე და მარო

პეტ. აა! ქალბატონ მაროს ვახლავართ! (ხეჯს ართმეჯს) დაბრძანდით, როგორ ბრძან-დებთ?

მარო. (სუჯ კაჰანსებუღი დაჰარაკასს) ისე ებძანდებთ, რო მგონია სულ კბილით დაგ-გილჯოთ ყველა.

პეტ. არა ერთი რას გცერჩით, განა რა დაგიშავეთ?

მარო. როგორ თუ რა დამიშავეთ? არა იმ წუჰაკს, იმ მატრაქეცას, იმ ქალა-ბიქას, იმ გონჯს, ერთი თვალი რომ ბაქოსკენ გა-უბრბის და მეორე ბათუისაკენ და ცხვირი კი სპილოს ხორთუმს ზიუგავს, იმას ცხრა თუმე-ნი და მე ათი თუმანი? არა ერთი თქვენ მითხარით, იმას ცხრა და ეე ათი?

პეტ. ვის ამკობთ ასე?

მარო. ვისა და კატო სიორელია თუ ნი-ორელი.

პეტ. ეს კითხვა..

მარო. (გააწვეტიანებს) აბა ერთი ეს მით-ხარით, იმას ცხრა და მე ათი?

პეტ. გამგეობამ....

მარო. (გააწვეტიანებს) არა, იმას ცხრა და მე ათი?

პეტ. თუ მომისმენთ...

მარო. არასფერსაც არ მოვისმენთ. ერ-თი ეს მითხარით, იმას ცხრა და მე ათი? არა სადღა უნდა გამოვეყო თავი? სად გავამხილო? იმ გონჯს ცხრა თუმანი და მე ათი? არა ერ-თი თუმანი, მარტო ერთი თუმანი მამჯობი-ნეთ მე იმ გონჯს, იმასა? მე ხომ იმას არ ვამბობ, რატომ ოცი თუმანი არ დამინიშნეთ მეთქი, მაგრამ, როდესაც მე ათს მინიშნა-ვდით, იმისთვის ოთხი უნდა დაგენიშნათ. არა, ერთი ეს მითხარით, სადღა გამოვეყო თავი, სად გავამხილო, ვინ რას იტყვის?

პეტ. ამ კითხვაზე გამგეობას..

მარო. (გააწვეტიანებს) მე თხოვნა შევი-ტანე გამგეობაში. მე ორ პირობას გაძღვეთ, ან მე მომიმატეთ, ან იმ წუჰაკს, იმ ქალა-ბი-ქას მოუკელით, თორემ ისეთ საქმეს ვიზამთ, ისეთ საქმეს, რომ ერთმანეთს ეკითხებოდეთ, სიზმარში ვართ თუ ცხადში. (აღდება და ხეჯს ართმეჯს) დაიხსომეთ კარგად ჩემი სიტ-ყვები. (გადას)

პეტ. ახია ჩემზე, ახი! (შემოდან დედა და შვილი და თავს უკრავენ, ჰეტრე ხეჯს ართმეჯს)

ფ. ვამართელი

(დასასრული შემდეგ ნომერში)



დრამატული მოღვაწე. ასპარეზზე

ალ. ჭავჭავაძე, ნიკ. ბარათაშვილი,
ალ. ჯამ. ორბელიანი და სხვ.

ქართულ თეატრს აქვს თავისი სხეული და ისტორია. როგორც წინა წორალში ვსთქვით, ამ სხეულის შექმნის დასაწყისი XVIII სუეე. ბოლოს ეკუთვნის და არა XIX სუეუენის ნსხუეკარს. ამს ნათელჰუფეს თუთ ისტორიული ცნობაც: ვუცით კარგად, რომ თეატრის არსებობა ქართუელუმბ ზუემოსსუეულ წლებზე ადრეც იცოდენ, ხოლო ნსქმით 1790 წ. განხორციელეს.

ჟამთა ვითარების უუელმროთობამ და 1795 წ. უბედურმა მოვლენამ, სსსტუეკად შუეეერეს ახლად დაარსუეული ნსქე. თბილისში, გარს და თელავს წარმოდგენებში იმართებოდა მხოლოდ 1794 წლამდე, მის შერე-კი ადრ, ვინაიდან თბილისი მახლობლი იყო, ადარც სთამაშო სცენას იყო, ამისთვის ვიღას ეტელუბოდა. ვგონებთ, „იფილინია“ 1795 წ. მარტში უნდა იფის ერთად ერთი ზიუს, რომელიც დაიწერა მეფე ერეკლეს შესუქუნრად.

ვინ იცის, შუეიძლება ისიც ითქვას, რომ დავით ჩოლოყაშვილის, გამრიულ შაირიას და დავით ავლაოის გარდა სხუანაც სწორედენ და სთარგმნიდეს ქართულად ზიუსებს, მგრამ მთი შესხუე ცნობებმა ჩვენამდე ვერ მოახწია. 1795 წ. შუედეც ქართლ-გახეთში მოხდა დიდი უუედურების: ვერუთ იყო ამ 1795 წ. ქეეენის ახსრება, ზუარბული ქართუელთ დღეუზა, შერე წელს მოჰუეა დიდი სიძველი, შიმშილი. 1797 წ. მოჰუეა დიდი ჟამი, რომელმაც მოსხო ისედაც განდგურებული თბილისის ქართუელობა; 1798 წ. გარდიცვლას მეფე ერეკლე, 1799 წ. მოხდა ნიასურის თბი, 1800 წ. გარდიცვლას მეფე გიორგი. ამს მოჰუეა დიდი ამბოხება და შერე ქართლ-გახეთის რუსეთის იმერიათს დავუშირება.

ასე, სულ 5 წლის განმავლობაში ამდენი უბედურება მოვლდის ქართლს და გახეთს და აბ თეატრისთვის შეცდანიებოდა და შრთამ ვიღას შეესდო. ისიც უნდა ვსთქვათ, რომ სიტუკა „თეატრს“ ქართუელი მწერლობაში სხუა გზითაც ხმარობდენ, მაგალითად, არის ერთი ძველი წიგნი ბერძნული დამ ნთარგმნი ასტელის მიტროპოლიტის იაკოპეს-შიერ სხუელად „თიატრო და პოლიტიკონ“. არის კიდეე შერე ხელთ-ნაწერი ძველი წიგნი, გა-

დაწერილი 1817 წ., რომელსაც „ნაპოლეტიკო თიატრო“ ეწოდება. სუანი ორივეს სდმროთ მხანარსის უნდა იფის, ხოლო წერის ოსტატობა, როგორი არის, ნამდელი თეატრადური, თუ სხუა ფრიბი, ამისი ჩვენ არ ვიცით-რა.

ქართუელუმბ თეატრის სხუენება რომ 1790 წ. ადრე იცოდენ, ამს ფიქრი არ უნდა, რადგანაც მთამრანშუეილის ცნობით, თუთ XVII სუეუენის ნსხუეკარს, ოტელის, რომს და ნუაბოლს იუვენ ისეთ ქართუელი მოწაფენი, რომელნიც იმ ქალაქებში თუთ უმადლეს კომერციანც სწავლობდენ. ასეთ მისწავლე მოწაფეებს, აბ ვერობიულ თეატრის ცნობას და ცნობიერებებს ვიღა დავუმიღად. უმწველია თუაიანთ სწავლასთან თეატრის ხელაფრების მერიე ცოდნაც ექნებოდათ. ასე იყო თუ სხუაფრიბი, ამს ჩვენ არ გამოვევიდებით, ამიტომ ვადავლოთ XIX სუეე. შუედეც დროზე, იმ ზართა და ზიუსების ცნობებზე, რაც-კი 1850 წლამდის დაწერილას.

28 დეკემ. 1800 წ. გარდიცვლას მეფე გიორგი; სიუკედლის წის დღით მეფემ შიამხო თბილისში შიოთი რუსის გენერალი ლახარევი, დავადა: დამიწერე წერილი, რომ ჩემს ცოდ-შეილას და ქართლ-გახეთის ტახტს ზელე იმერატორს. ვაბარებო. გენერალმა დასწერა წერილი მოკლეც, მეფემ მოაწერა ხელი, დაასო სამეფო ბეჰელი და წერილი შივრავით გუგისავნა ზელე იმერატორს, მის შერე შუერთებაც მდე მოხდა—ქართლ-გახეთის ტახტი რუსეთის იმერიას დაეგუშირდა.

ამ დღიდან ქართუელუმბ რუსეთისკენ იწეეს მგზავრობა, რუსული სწავლის მიღება, რუსული ენის შესწავლა, წიგნების ბეჰლეა და თეატრის ცაცნობა უფრო უუეტესად. ასეთის ცვლილეის სსშუე-აღეობით, ქართუელი მოკლე დროის განმავლობაში ბეერს უცხო რამეს გუცნენ, 1817 წ. თბილისში, ზირეულად „ქართული გაზეთი“ გამოსცეს, წიგნების ბეჰლეაც იწეულდა, მსთან ზიუსების წერას და თარგმნისც შუედენენ.

დრამატული მწერლობის ასპარეზზე XIX სუეე. ზირეულ წლეუის შუედეც კარგად ნსანს მგოსანი თავადი ალეკსანდრე კარსევისხის ძე ჰუეჰავაძე, როგორც შთარგმნიელი ევროპის ზირეულ ხარისხუან-ავტორეის მავლა.: როგორც შუქშირის, ვოდტერის, რსინის და სს.

(შემდეგი იჰნება)

4. ჭიჭინაძე



მ. მ. საფაროვაშვილისა

დიდი ხანია ქართულ მელომენას არ გაუღიმიდა ერთი მისი საუკეთესო წარმომადგენლის ხელნებები...

და აჰა, ორშაბათს, 29 მარტს, საზოგადოება კვლავ იხილავს მაკო საფაროვაშვილის ქართულს სცენაზე მსოფიანი დრამატურგის გ. სუნდლიანცის პიესა „ხათაბალა“-ში ნატალიას როლის შემსრულებლად.

ვინ არ იცის, რომ მაკო საფაროვაშვილისა ქართული სამუდამო სცენის ერთი მთავარი საძირკელის ჩამყრელთაგანი, ქართული სასცენო ხელოვნების შემქმნელთაგანი, სამშობლო თეატრის ამყვანებელთაგანია, — სცენის დაუღალავი მუშაკი იმ დროისა, როდესაც თეატრის მსახურის გზა ნარეკლებით იყო მოფენილი...

თითქმის 35 წ. მაკო საფაროვაშვილისა, ღვთიურის ნიჭით დაჯილდოებული, აცხოველებდა ქართველი მელომენის ტაძარს...

მუდმივ შრომით მოქანცული ჩამოშორდა სცენას, მაგრამ არც ერთს წუთს არ მოშორებია ქართული თეატრის საქმეს, როგორც მისი მოქირნახულე და ეს დამსახურებული მსახიობი ხელოვნების ტაძრის მუშაკია დღევანდლამდე...

ეკვი არა არის, თეატრის მოყვარული საზოგადოება, რომელიც არა ერთ ზღის დამტკბარა მაკოს თამაშით, 29 მარტს დაუზარებლად დაესწრება ქართულ თეატრში მის მონაწილეობით გამართულ წარმოდგენას.



* *

(ვუძღვნი ერთ-მრავლათაგანს)


ადამიანო ღირსი არ ხარ ამ სახელისა, არა ხარ ღირსი, რომ გიხმობენ ადამიანსა, — მკერდს გული გიცემს ეშმაკური, ფლიდი, ეული და თავიც მოგწონს რომა ფიქრობ ყოველთვის ავსა.

მეფე გგონია შენი თავი ამ ქვეყნიური, ასამაღლებლად ყველას სწირავ, არას იშურებ, კაცურსა რწმენას ფეხქვეშ სთელავ, ვითა მტარვლი, შენსა მამულსა, შენსა ენას ჰკიცხავ, ივიწყებ...

და გაიძახი უსიკრებლოდ შენს მეგობრებში, რომ მაგით გინდა ააშენო ქვეყნად სამოთხე, თვით შენ შეიქმნე დიდებული საქმის დამწყობი: ძმა ძმას წაჰკიდი, შეაძულე სამშობლო კუთხე!.. თვით მეტროლები, საცოდავო, შესაბრალოც ხარ, რადგან არ უწყვი ამ ქვეყნადა რა გაცქს საგანი, თითქო იმისთვის გაჩენილიხარ რომ დაჰგმო მოძმე,

მოუკლა რწმენა და შემუსრო მისი აკვანი. საბრალო არი შენი ერი და მისი კიდე, რომ დაეხადე, აღეზარდე, ჩანსთქე ჰაერი, საბრალო არი შენი ერი, რომ ავგლახებ, რომელიც ერთხელ ამაყობდა სვე ბედნიერი...

დ. გაბრუაშვილი



სათეატრო აზგუბი

ადგილობრივი სუენა

ქუთაისის დრამ. საზ. გამგეობა უკვე შეუდგა მომავალი სეზონისათვის მზადებას.

ვალ. გუნიას მომავალი სეზონისთვის ისევ ქუთაისში იწვევენ რეჟისორად.

ქართ. დასი ვ. მესხიშვილისა და გ. მესხის მონაწილეობით წარმოდგენებს გამართავს დასავლეთ საქართველოში—ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, სამტრედიოში, ხონში და სხ.

ქარ. დრ. საზ. კრება მოხდება ამ ახლო ხანში.

მუსიკოსი ფოცხვერაშვილი მასის პირველ რიცხვებში ეწვევა თბილისს და კონცერტს გამართავს. სხვა მის ნაწარმოებთა შორის შესრულებული იქნება მისივე ნათარგმნი „ბაშბაზ მდემის დაღუპვა“, სიმფონიურ ორკესტრისა და გუნდისათვის დაწერილი.

სომეხთა საქვედმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ, გუმბერნატორის ნებართვით, 1 აპრილს გაიმართება წარმოდგენა.

რუსთა დრამატული წრე დევგამოდებით ამზადებს კარპოვის პიესას „მუშათა შტანი“ ზუბაშვილთა სახელობის სახ. სახლში დასადგმელად. იხატება ახლო დეკორაციები, მზადდება მოძრავ მანქანებიანი ქარხანა, მოწყობილებანი და სხ. წარმოდგენა გაიმართება 3 აპრილს. ადგილების ფასები სახალხოა, 1 აპრილამდე ბილეთები განსაკუთრებით მუშებზე გაიყიდება, შემდეგ საზოგადო.

სახალხო სახლში 1 აპრილს, ხუთშაბათს წარმოდგენენ „ისინი ისრაილ“ და „დედის ერთა“-ს.

რუსთა წრის საიუბილეო წარმოდგენაზე დასასწრებლად ბეჭდვითი სიტყვისა და გამნათლებელ

დაწესებულებათა წარმომადგენელთ ადგილი მიეცემა ორკესტრში, ყველას მოსაწყვეი ბილიეთი გაუგზავნება.

◆ **სალიცენატურო საღამო.** აპრილის ბოლო რიცხვებში გრ. რობაქიძე გამართავს ფრიალ საგულისხმო საღამოს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ვაჟაფშაველა, ივ. გამართელი, კიტა აბაშიძე, ილ. ელფეთერისძე, ლალიანი, ნ. ლორთქიფანიძე, შ. არაგვისპირელი, გრ. დიასამიძე, სვ. ყიფიანი, მ. აღმაშვილი, ა. შანშიაშვილი, ლევ. მეტრეველი. ი. გრიშაშვილი, გ. კუჩიშვილი და სხ. მონაწილენი წაიკითხვენ თავ თვითნებ ნაწარმოებს, იმსჯელებენ და სხ.

◆ **გ. ვ. გედევანოვის (მირალიანის) 25 წ. საიუბილეო** კომიტეტი დიდს ამბით ემზადება დღესასწაულისათვის. იუბილე, როგორც ვერძლით, გამოართება 2 მაისს. ამოთვლიან მოწყობა დაეკლავთ ს. კლიაშვილს, ა. სარაჯივილსა და ა. ბუხენს.

◆ **ჭიათურის დრამ. საზოგ. გამგეობამ** დადგინა მონაწილეობა მიიღოს დასახურებულ მსახიობის გ. ვ. გედევანოვის საიუბილეო დღესასწაულში, ამიტომ: 1, ადრესის წასაკითხავად დასახურების მისართმევად გამოგზავნოს ს. ტარუაშვილი და 2, მიიწვიოს გ. ვ. გედევანოვი ჭიათურაში, გაუმართოს წარმოდგენა და შემოსავალი იუბილიარს გადაქცეს საჩუქრითან ერთად.

◆ **ყვინათის გასამართლება** მოხდება ქართულ თეატრში 9 აპრილს.

◆ **ქართ. თეატრის კავშირდინებთა** სასარგებლოდ 8 აპრილს ქართ. თეატრში წარმოდგენილი იქნება „აღლუში“.

◆ **ქარ. ფილარმონიული საზოგ. კონცერტი,** გატერნატორის ნებართვით, გაიმართება 4 აპრილს არტისტულ თეატრის დარბაზში შემოსავალი მიეძღება ხსენებულ საზოგადოების თანას.

◆ **ს. გვახაშვილმა** დასწერა ახალი პიესა „მბრანანდლის გადაყენება“, დრამა 1 მოქ. აბდულ-ჰამიდის ცხოვრებიდან. ჩვენს ჟურნალში დაბეჭდება

◆ **ა. შანშიაშვილმა** დაამთავრა ახალი დრამატული პოემა „შოთა“.

◆ **სვამლ 29 მარტს 8. მ. საფ-აბაშიძის** მონაწილეობით ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება „ხათაბალა“.

რუსეთის სცენა

◆ **სახელგანთქმულ დრამატურგს ი. ნ. პოცაპენოს** ამ ეპოდ გარმონიის შესწავლა დაუწყევია; მას განუზრახავს ოპერის დაწერა. ი. პ. წინად კონსერვატორიაში სწავლობდა.

◆ **როსტანის შანტეკვირმა** რუსეთშიაც გაიჩინა მომხრები; უკვე შესდგა დასი მოსკოვის ფულანდარა და თაოსნობით, რომელსაც განუზრახავს ამ პიესის წარმოდგენა რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში.

უცხოეთის სცენა

◆ **მეფე ედუარდი და „შანტეკვირი“.** პარიზში ყოფნის დროს მეფე ედუარდი საიდუმლოდ დაესწრო როსტანის „შანტეკვირი“-ს წარმოდგენას. 1 მოქმედება მეფემ ხალისით მოისმინა, 2 მოქმედებამ მოქანდა, მესამე მოქმედების დროს მეფემ დაამთქნარა და ტკბილად მიიძინა. პიესის დასრულების დროს თანამსუბებელმა სიფრთხ. უით გააღვიძა უმადლესი სტუმარი. გამოვიტყუებულა მეფემ გულკეთილად გაიღიმა და მსურვალე ტაში დაუკრა. შემდეგ მისი თეატრის დირექტორი და მადლობა გადაუხადა—პიესის ნახვით ვისიამოვნეო.

◆ **რ. ბრაგო** ამთავრებს ახალ კომედიას „პატარა წმიდანი“, (Il piccolo Santo).

◆ **ბიერსონი,** ნორვეგიის სახელგანთქმული დრამატურგი, მძიმე ავადმყოფობისგან მოიხრა. ნორვეგია ამ ამბის გამო დიდს სიხარულშია და ფიქრობს თავის საყვარელი მწერლის შინ დაბრუნების გამო ეროვნული დღესასწაული გადაიხადოს. ექიმების სიტყვით, ბი სამშობლოში დაბრუნდება ნორვეგიის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს (17 მაისს).

სცენის ვარედი

◆ **ევ. გაბაშვილის იუბილე** გაიმართება მომავალ შემოდგომაზე მისი 40 წ. საწყარო მოღვაწეობის აღსანიშნავად. სადღესასწაულო კომიტეტი უკვე შესდგა და განზრახავს აქვს გამოსცეს მწერლის საუკეთესო ნაწერები ორ ტომად. სადღესასწაულოდ გაიმართება სალიტერატურო დილა, წაიკითხვენ რეფერატს მწერალი ქალის შესახებ, აჩვენებენ ცხოველ სურათებს მისის ნაწარმოებიდან, სხვა-და-სხვა წარმომადგენელი მიულოცვენ და სხ.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის ლექციები** გაიმართება სახალხო სახლში 1) 4 აპრილს სპილიოტისა „პატრი დიდი“, 2) 11 აპრილს „ჩანსვის დილა“; ა. ვასილივი წაიკითხავს „ძველი თაობა ჩეხოვის ნაწარმოებში“, ნ. აბრამოვიჩი—„ახალი თაობა ჩეხოვის თხზულებებში“.

◆ **ფუფანდარმა ა. ი. მანიაშევმა** სომეხთა სასულიერო სემინარიის ასაშენებლად 200,000 მანათის გარდა, კიდევ გადასდო 50,000 მან.

◆ **მ. კ. როზლინამ** აღუთქვა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას, ვიდრე ხსენებული უნივერსიტეტის სკოლის მოსწავლენი შესკლებდნენ სწავლის ფულის გადახდას, თეიურად ხუთს მანათს გადავიხდო. სახ. უნივერ. გამგეობამ მადლობა გამოუცხადა.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობის წევრთ მიენდო სობოლევსკის ლექციებზე დასასწრები ბილიეობი ზელზე გაყიდონ. ბილიეობი გაიყიდება კავკ. სამეურნეო საზოგ. შენობაში, სახალ. თეატრას კასაში და სხ.

უთავგებულებანი

(წ. ი. აბრამოვიჩის ლექსების გამო)


I თვითმკვლელობა

ყოველდღიური ცხოვრება მთლიან თავის ქუჩეკისა და არარაობის სიმძიმით დაწვეა ადამიანს. უტყუარყოფილება იღვალსა და სინამდვილის შორის სატანურის სისწრაფით იზრდება. შეუჩაქცეოფილი სულს კოტეტი სთარგუნავს სიცოცხლის, ბედნიერების, მშვენიერების მძლავრს წყურვილს. თვითმკვლელობა, ეს სამარცხვინო დადასტურება არა თუ უძღურებისა, არამედ დამარცხების, ჩვეულებრივ მოვლენად გარდაქცეულ. უტყუარყოფილების თანამედროვე ფსიხიკა ქმნის ლიტერატურას, რომელსაც ერთად ერთს თავის მიზნად დაუხაზავს ხატბა სიკვდილისა და სამარადისო წყვილადის მიმართ, დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც გეტეს „ვერტერმა“ სასოწარკვეთილებისა და უომელოების სულდარა გაადაფარა ქვეყანას, დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ოტტო ვეინინგერის შხამმა „სქესმა და ხასიათმა“ საძირკველი ჩაუყარა თვითმკვლელობის ეპიდემიას. დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც სტრინდბერგმა მთელს ქვეყანას ამცნო ქალაქის ცხოვრების უახრობა და გარყვნილება, ყოველივე ადამიანის ბუნებაში საშინელ შხამის არსებობა. ეს შხამი სწალავს ყოველსავე კეთილს, ლამაზს და დიდებუნიერებას. სულის მოთმინების ფილა იყვება... „შხამა! ან ყველაფერი, ან არაფერი! კომპრომიისით ცხოვრება შეუძლებელია!..“ გაისრის სასიკვდილოდ გამხადებული ადამიანის პროტესტი...

ირგვლივ უიკედობა, ოცნებათა, წმინდათა-წმინდის შოვაზება, ბედისწერის აესული ხარზარა გამოჩეხულა... და ამ კრიტიკულ დროს არ ისმის გამამხნევებელი ხმა მძლავრის, გამმედობითა და ჯან ღონით აღტურვილ ადამიანის. არაფერ გვეუბნება, რომ სულს, როგორც ამგვარს, არაფითარი კვეშირი და თვისტომობა არა აქვს ყოველდღიურ სწამდვილესთან. რომ არ ყოფილა კაცობრიობის ცხოვრებაში არც ერთი ხანა, როდესაც სულსა და ჩვენ ცხოვრების შორის სრული თანხმობა, პარაზონა ყოფილიყოს, რომ ეს უთანხმოება საქროა უმაღლეს ამოცანის, სამარადისო ქეშპირიტების და ადამიანის დანიწნულების განსხორციელებლად: რომ მხოლოდ ეს უთანხმოება აცხოველებდა და ამას გონებეს, შემოქმედების მის მძლავრ სურვილს... რომ ამ უთანხმოების გარეშე, ადამიანს მხოლოდ ერთს წაშენდა ეცოცხლა ლამაზი, ბედნიერი ცხოვრებით და შემდეგ უნდა დახასჯებულყოფი... არ გვექმის მკაცრი მოწოდება: „შესდექით, სულით უძღუნდით! ქეშპირიტების მათებელნო, თვით თქვენი ცხოვრებაა ქეშპირიტება! მშვენიერების მათებელნო, თვით თქვენი თავგამოდებული ბრძოლაა მშვენიერება!..“ არ ისმის იმდენს გამამხნევებელი ხმა... და განცხნუეშინი არ მიაღწევდა თავის მიზანს? მიაღწევდა, უსათუოდ მიაღწევდა... მე მაგონდება ტურგენიევი და პატარა

ბელურა. საშინელი სიკვდილი ქორის სახით თავს და სტრიალებს ბელურას. ერთის ან ორის წამის შემდგ მტარავლის ბასრი კლანტები შე წყვეტენ უმანკო, უდამაშაულო გულის ცემას. მაგრამ ბელურას არად მიანჩია სიკვდილი. თუ ბრძმა არგუნა კიდევ რაღვინემ წუთით სიცოცხლე, იგი სხვასაც გაახარებს და თვითც დასტკება... მას დაატკობს თვით სიკვდილის სიხსლოვე, თავისი უშიშრობა, დაუდევრობა...

სიცოცხლის ნაკადული, გამმედავი ბელურა და სულმდაბალი ადამიანი...
 არა, მეც მწყურია სიცოცხლე, მეც მინდა ჩემს სიკვდილს გაბედულად თვალი თვალში გავუყარო!.. დე, თავს დამტრიალებდეს სიკვდილის შავი ახრდილი...
 მე ახლაც ვიბრძვი... მე კვლავაც ვიბრძობ...



ცისკარი

ახალგაზდა პოეტების როს მომესმა ჩანგის ყღერა, მხცოვან მტბრძოლ მეომარსა კვალად გული ამძიგერდა. მეც მოვიკიდე ჩანგუს ხელი, მკვენსარ ჰანგზე ავაყღერე, — ეთ ბულბულმა მისის ვარდს, ტანჯულ სატრფოს ზედ დავმღერე. ვეუხიარ: სატრფოვ, ნულარ კენესი, მრავალი გყავს მოტრფილვე, მხავგერლ-მტარვლას ბრკყალებისგან გამოვიხსნით დღეს თუ ხვალე. ავაყვავებთ კვალანდებურ, მოვრთავთ ძვირფას ძოწეულით, — შერტხვეს იგი ამა ქვეყნად, ვინც არ გეტრფის წმინდის გულით!..

გ. შინატეხელი

პარსკვლავით-მრისხველი

რაც საქართველოში პოეტია, იმის ნახევაი ნაღდი მკითხველი რომ ჰყავდეს ქართულ ჟურნალ გახეთს, მაშინ წლითი წლამდე თავისუფლად იხეირებდა ათი დღიური გავლე, სამი თვიური, ხოლო ხუთი კვირული ნახატებანი ჟურნალი; ყველას თანამშროლები წელში გაიმართებოდენ, თვალში ჩინი მოემატებოდათ და თავში... ფიქრი.

ლავაფანსო

რადენიც სცენის* მოყვარე, არტისტი“ საქართველოში, იმის ნასამედი რომ ნაღდი მაყურებელი ჰყავდეს ქართულ თეატრს, მაშინ თავისუფლად შეინახებოდა წლიდან წლამდე ორი ღრამატიული, ერთი საოპერო და ერთიც ფარსის დასი, თვითეული 30 ქალ-კაცი-საგან შემდგარი საქართველოს მიყრუებულ ადგილებში წარმოდგენების სამართავად, ათი ინვალიდი — პენსიონერი, თორმეტი უნიჭო სცენის მეტბორცი და ექვს-ექვსი ქალ-ვაჟი იტალიაში გაიგზავნებოდა... ქართული სცენისათვის მოსამზადებლად.

ჩვენი თავიღმეილინი რასაც წოდების შერჩენისათვის ზრუნავენ, იმდენი კაცური ღირსებისა და მამულების დაცვისათვის რომ იფიქრონ, ჩვენი ქვეყანა... უფსკრულში აღარ გაღიჩხებოდა

რადენსაც ჩვენი მამულიღმეილინი სამშობლოს გაყიდვაზე, ტერიტორიის დაკარგვაზე სწერენ და იერემიასებურ ცრემლთ აფრქვევენ, მისი მეთელი რომ ჩუმად უანგაროდ საქმით იმოქმედონ, მთელი საქართველოს დელუზამამული ქართველ გლეხსვე დარჩებოდა.

რადენიც ჟურნალისტი, იმის მეოთხე-მოცედი რომ ქეშმარიტი მოღვაწე ჰყავდეს სინათლის გავრცელების საქმეს, ქვეყანა სიმოთხეს დაემგზავნებოდა...

რადენ ღვინოსაც ქართველი კაცი სტომაქში იხნავს, იმისი მეთელი წყალი თავის გახრიკებულ ბახჩა-ვენახს რომ დაუხსნას, თავისუფლად მოიშორებდა მიწის გადასახადს, სასოფლო ზეგარას, მოხელეთა ხარჯს, სახელმწიფო სათათბიროს მოათათბირეთა ხარკს, პრიკაზის ვალს და ყველა თავიღმეილის უმაძღარ მადასაც დააკმაყოფილებდა...

რადენი დიპლომაინი „განათლებულიც“ ჩვენა გვყავს, იმისი მესამედი რომ გონებით განვითარებული გვყავდეს, მაშინ ას-გზის ნაკლება უვიცი გვეყოლებოდა და ათჯერ მეტი გულწრფელი მოსაქმე-მოღვაწე.

იოსებ არიმათიელი

ფეილისოფისმა არისტოტელმა წარმოსთქვა დიდებული მარადილი: ღამიანი სოციალური არსება... არისტოტელს რომ წინ სდებოდა კაცობრიობის ისტორია, დარწმუნდებოდა, რომ ღამიანი სოციალური ზიურტუყვია...

მე აქ არ ვეკები მდაბო ხსდეს... ერთი მიბძნეთ, რა უნდა მისთხოვა ბრბოს, რომლის ძარღვებში არ სჩქეფს დაღებულ მოგრავე წინაზრთა ღლის ფერი სისხლი... მე არად მუნდღეება ის დაგლეჯილი, სიმშილის და სინუნელისგან დაჯადებული...

მე მინდა მსოფლად ჭეშმარიტ სოციალურ ზიურტუკვთ შეეგებო... მე მინდა გამოვასქარავო, თუ რა დიდი დგაწლი მიუძღვით ამ ხელ-ყანწიან სმალ-ხსწყაღანთ ჩვენის ბედურულ სამშობლს წინაშე... მე მსურს ვუწეო ეგვლას, განურჩეველად სტექსის, ეროვნების, სარწმუნოების, თუ რა განუზომელი სმასხური გაუწევათ ამ ჩინ-ორდენ. — ეზღებუტებანთ მთეაღის, დაღ მთელს კაცობრიობის წინაშე...

მსურს, მინდა... მგრამ ძალი არ შემწეკვს, კვლამი მღაღატობს თვალთ მინუნდღეება...

რა დაუთესიათო?! როგორ თუ რა დაუთესიათ? მიბძნდით ზრავასში და იქ მოგახსენებენ, რაც დაუთესიათ... გავზანუთ ტელეკრამზ სიქითა და იქიდან მოგახსენებენ, რაც დაუთესიათ... კაცობრიობის წინაშე რაღა დაუთესიათო? უსირცხველანო, ბრმანო! გამოიღეთ თვალთ თქვენთაგან სიჭეპი, რათა ისიღათ სხვისი ზნეობრივი უდრესობა... მამ ჩვენი ენა, ჩვენი ღამაზი მრავალ-ტანჯული ენა ვინ შექმნა, ვინ ადლომინა? ვინ ამოუყენა ეს ენა გვერდში რუსულს, ფრანგულს და სხვა ენათ... უმადურანო!...

ჩვენებური ისტლიკუნტა? ბაგნი ჩემნი დაღმუღებან... De mortuis aut dene, aut nihil (მკვდარზე ან კარგს იტუყვან, ან სულ არაფერსაღ)! სკამარისი არ არას ენა, რომ გუბთას მინ მღება-რეც იგო ღამაზი და მშეგნიერა?!

სკამარისია... ჯერ ეს დაგაფანსოთ... Par-Don

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი



რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი

